

**თავის ტვინის ტრავმული დაზიანება:
ეპიდემიოლოგიურ მონაცემთა შეგროვების
პრაქტიკა და პოლიტიკა საქართველოში**
ეკა ბურკაძე¹, ნინო ჩიხლაძე², მაია კერესელიძე³

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
¹დოქტორანტი; ²მედიცინის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი; ³მედიცინის დოქტორი, მოწვეული
პროფესორი

თავის ტვინის ტრავმული დაზიანება (TBI) საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც სიკვდილიანობისა და ინვალიდობის ერთ-ერთი წამყვანი განმაპირობებელი ფაქტორია. თავის ტვინის ტრავმული დაზიანების გლობალური ტვირთი წარმოუდგენლად დიდია. მსოფლიოს მასშტაბით ყოველწლიურად 10 მილიონამდე ადამიანი ჰოსპიტალიზდება, ყოველდღიურად კი - 14 000-მდე პაციენტი იღუპება. TBI-ის „მდუმარე ეპიდემიასაც“ უწოდებან, რადგან მის მიერ წარმოქმნილი პრობლემები ხშირად არ არის მყისიერად ხილული, ხოლო არსებული დიაგნოსტიკური ტესტები არც საკმარისად მგრძნობიარეა და არც საკმარისად სპეციფიკური, რომ მსუბუქი ფორმების დროული აღმოჩენა მოახდინოს, შედეგად, TBI-ის მსუბუქი შემთხვევები, რომელიც სრული რაოდენობის 80-90%-ს შეადგენს არ დიაგნოსტირდება, შესაბამისად, TBI-ის რეალური ინციდენტობა ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები. რთულია ზუსტად განსაზღვროს იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც დაზარალდნენ TBI -ის შედეგად, მაგრამ ცხადია, რომ განვითარებად ქვეყნებში გრძელვადიანი ინვალიდობის წამყვანი განმაპირობებელი ფაქტორია. იმის გამო, რომ TBI უფრო გავრცელებულია ახალგაზრდებში, ფინანსური დანახარჯები მაღალია სიკვდილისა და ინვალიდობის მქონე პაციენტებში პროდუქტიული წლების დაკარგვის გამო. TBI-ით ავადობისა და სიკვდილიანობის 90% დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ხდება (LMIC). ხოლო, რეპრეზენტატიული და მაღალი ხარისხის მონაცემები აუცილებელია ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების დასაგეგმად. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, შევისწავლეთ საქართველოში არსებული TBI-ის მონაცემთა შეგროვების პრაქტიკის და შესაძლებლობები. კვლევა განხორციელდა

პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაც: INI-TIatE - საერთაშორისო თანამშრომლობა ევროპაში თავის ტვინის ტრავმული დაზიანების ეპიდემიოლოგიის გაზრდის მიზნით, რომელიც დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მიერ. კვლევის შედეგად იდენტიფიცირდა თავის ტვინის ტრავმული დაზიანების მართვის არსებული პრაქტიკა და პოლიტიკა, შეფასდა სამედიცინო დაწესებულებების რესურსები და განისაზღვრა TBI-ის მკურნალობის არსებული პრაქტიკა.

საკვანძო სიტყვები: თავის ტვინის ტრავმა, ტრავმული დაზიანება, ტრავმატიზმი, პრევენცია.